ხელოვნური ინტელექტის დანერგვის ფაქტორები და მისი გავლენა ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობაზე, სამაგიდო კვლევის მიგნებებითა და პაციენტის შეფასების გათვალისწინებით

მაგისტრანტი: მარეხი კაკალაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ფრუიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2026 წ

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარეხი კაკალაძე .....21.06.2026 წ

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლასა და მისი გავლენის შეფასებას ჯანდაცვის სექტორის ეფექტურობაზე. კვლევის აქტუალობა განპირობებულია ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე ციფრული ტრანსფორმაციით, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროების, მზარდი სამედიცინო ხარჯებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციის მნიშვნელობით.

კვლევის მიზანია საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის შესაძლებლობების, ბარიერებისა და პერსპექტივების შეფასება, საერთაშორისო გამოცდილების ანალიზისა და პაციენტთა დამოკიდებულებების შესწავლის საფუძველზე. კვლევა ეყრდნობა შერეულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, კერძოდ, სამაგიდო კვლევის ფარგლებში გაანალიზდა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, სამეცნიერო ლიტერატურა და სხვადასხვა ქვეყნის წარმატებული პრაქტიკა. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში კი შეგროვდა ემპირიული მონაცემები პაციენტთა დამოკიდებულებისა და მოლოდინების შესასწავლად.

მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ პაციენტთა უმრავლესობას უკვე აქვს ციფრული ჯანდაცვის სერვისების გამოყენების გამოცდილება და დადებითად აფასებს ხელოვნური ინტელექტის პოტენციურ გავლენას სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, სამედიცინო შეცდომების შემცირებასა და ხარჯების ოპტიმიზაციაზე. ამასთანავე, გამოვლინდა მნიშვნელოვანი ბარიერები, მათ შორის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება, კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი, ფინანსური რესურსების შეზღუდულობა, მონაცემთა უსაფრთხოების საკითხები და საზოგადოებაში ნდობის ამაღლების აუცილებლობა.

საერთაშორისო გამოცდილების ანალიზმა კი ცხადყო, რომ ხელოვნური ინტელექტის წარმატებული ინტეგრაცია ეფუძნება განვითარებულ ციფრულ ინფრასტრუქტურას,

სახელმწიფო მხარდაჭერას, მონაცემთა დაცვის ეფექტიან სისტემებსა და პროფესიული უნარების განვითარებას. კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს ჯანდაცვის სექტორში ხელოვნური ინტელექტის ეფექტიანი ინტეგრაციის სტრატეგიული გეგმის შემუშავებას.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ჯანდაცვა, ციფრული ტრანსფორმაცია, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა, ციფრული ჯანდაცვა, პაციენტთა დამოკიდებულება, ეფექტურობა.

Abstract

This thesis focuses on examining the factors influencing the implementation of Artificial Intelligence in the Georgian healthcare system and assessing its impact on the efficiency of the healthcare sector. The relevance of the study is determined by the ongoing digital transformation of healthcare, the need to improve the quality of healthcare services, rising medical expenditures, and the growing importance of integrating modern technologies into healthcare systems.

The aim of the study is to evaluate the opportunities, barriers, and prospects for the implementation of the Artificial Intelligence in the Georgian healthcare system based on the analysis of international experience and the examination of patients' attitudes. The research is based on a mixed-methodological framework. Specifically, the desk research component involved the analysis of reports from international organizations, scientific literature, and successful practices from various countries. In addition, empirical data were collected through quantitative research to explore patients' attitudes and expectations.

The findings indicate that the majority of patients already have experience using digital healthcare services and positively assess the potential impact of Artificial Intelligence on improving the quality of healthcare services, reducing medical errors, and optimizing healthcare costs. At the same time, several significant barriers were identified, including insufficient technological infrastructure, a shortage of qualified specialists, limited financial resources, concerns regarding data security, and the need to enhance public trust.

Furthermore, the analysis of international experience revealed that the successful integration of Artificial Intelligence is based on advanced digital infrastructure, strong governmental support, effective data protection systems, and the development of professional competencies. Based on the research findings, recommendations were developed to support the creation of a strategic plan for the effective integration of Artificial Intelligence into the Georgian healthcare sector.

Keywords: Artificial Intelligence, Healthcare, Digital Transformation, Georgian Healthcare System, Digital Health, Patient Attitudes, Efficiency.